
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

აკადემიას განაცხადის დანართი 5 -ით, წარმოდგენილი აქვს საექთნო განათლების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, სწორად დაადგინოს სწავლის საფასური, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური /სახელმწიფო ვაუჩერი, ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების, პრაქტიკის ობიექტების, პრაქტიკის ინსტრუქტორების, ტრანსპორტირების და სხვა ხარჯებს. წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა აღემატება რენტაბელობის ნორმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი(დამტკ.ბრძ. N2/22; 23.03.2020);
- „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მექანიზმები“(დამტკ. 23.03.20წ; ბრძ. N2/22)
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მატერიალური რესურსით და მისი ფლობის დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაციის აქტი;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები/ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- საგანმანათლებო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- ტრენინგების ანგარიშები, დასწრების ფურცლები, ტრენინგის შემდგომი კმაყოფილების კვლევის ანგარიშები;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ბიბლიოთეკის ფონდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიუს შდეგები

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.3საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

„დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ (დამტკ. ბრძ N2/22; 23.03.20) გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები. რომლის მიზანია: შექმნას დაწესებულების ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას; ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა;

კოლეჯში, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულელები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პრინციპით;

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

ბ) მონაცემების დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;

დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი ახორციელებს გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით); ასევე შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მუშაობის ან/და სწავლების ხარისხის შეფასება, პროცესზე დაკვირვების მეთოდით;

ნებისმიერი სახის გამოკითხვა/შეფასება/კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს:

- ვალიდურობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სანდოობა;
- მოქნილობა;
- შინაარსობრივი სიმარტივე;
- მიუკერძოებლობა და სამართლიანობა.

აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა: პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, ადმინისტრაციის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი და საკონტაქტო საათებზე დაკვირვების ანალიზი.

აკადემია მუდმივად ზრუნავს ხარისხის სისტემის განვითარებაზე, ამის თვალსაჩინო მაგალითია ISO9001:2015 დანერგვა, რომლის ფარგლებში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ხარისხის მონიტორინგი და გაუმჯობესებაზე ზრუნვა.
ხარისხის მართვის სისტემის პროცესების მართვა ხორციელდება ISO9001:2015-ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად და მისი შენარჩუნება ხდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარებითა და ხელმძღვანელობის მხრიდან ანალიზის განხორციელებით ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ შესაბამისი პროცესების შეფასების შედეგებით;

<u>აკადემიის პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას.</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით (დამტკ. ბრძ N2/22; 23.03.20) კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რეკომენდაციებს. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურს/ სტრუქტურულ ერთეულს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხოციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წლიური ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ წარედგინება რექტორს, საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის შედეგების გაცნობა ხორციელდება დაინტერესებულ მხარეებთან.

შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

აკადემია აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ანხორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/ მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე შექმნილი შუალედური ანგარიში, რომელშიც გაწერილია რეკომენდაციები და განსახორციელებელი აქტივობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკ.ბრძ. N2/22; 23.03.2020);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით (დამტკ. ბრძ N2/22; 23.03.20)
- ჩატარებული ტრენინგების ანგარიშები;
- გამოკითხვის კითხვარები;
- ინტერვიუ ხარისხის მართვის მენეჯერთან.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროგრამას დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმები, რომელთა მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება. „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია სასწავლო გეგმა, პროგრამის მოცულობაა 180 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა - 3 წელი (124 სასწავლო კვირა),

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება -90 კრედიტი

ქართული ენის (30 კრედიტი) მოდულების დამატების საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოცულობაა 210 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა - 3,6 წელი (148 კვირა),

სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა შეადგენს ანანაკლებ 35 სთ. და არაუმეტეს 40 სთ. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა 2 კვირიანი ვადები მოდულების გადაბარებასთან დაკავშირებით.

<u>საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკ.ბრძ. N2/22; 23.03.2020) შესაბამისად აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, აკადემიაში საჭიროების მიხედვით სასწავლო ცხრილი დაიგეგმება პროფესიულ სტუდენტებთან შეთანხმებით, პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება თვითონ აირჩიონ სწავლების გრაფიკი (უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით).

დაწესებულებაში არ დამდგარა სასწავლო ცხრილის და გეგმის ცვლილების საჭიროება.

3. სასწავლოპროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების გათვალისწინებით გამოიყენება სწავლების შესაბამისი ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ყველა სასწავლო აუდიტორია/ლაბორატორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას.

სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციებით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ლექციების მსვლელობაში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები და ვიზუალური ელექტრონული მასალები.

პრაქტიკის ობიექტი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკ.ბრძ. N2/22; 23.03.2020) მუხლი 14 რეგულირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროებები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშვების აუცილებლობა დგება, თუ:

ა) პროფესიულ სტუდენტს აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, როდესაც რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს საწავლისა და შეფასებისას;

ბ) პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს;

გ) პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით;

დ) ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში;

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ პროფესიული სტუდენტი ან არასრულწლოვანი და შშმ პირის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი, განცხადებით მიმართავს აკადემიის რექტორს, რის საფუძველზეც რექტორის ბრძანებით შეიქმნება შესაბამისი სამუშაო ჯგუფ(ებ)ი, რომელშიც შედის პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულ(ებ)ის განმახორციელებელი პირები, რომლებიც პროფესიული სტუდენტის ან არასრულწლოვანი და შშმ პირის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას/პროგრამას. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება მოდულის/საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის მოდიფიკაცია ან აკომოდაცია; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/პროგრამისშემუშავების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ინფორმაციის მოგროვება - სამუშაო ჯგუფის მიერ ისგ/ისპ-ის მოსარგებლე პირის შესახებ სხვადასხვა წყაროების, მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის შეგროვება ან/და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია მოითხოვოს სამედიცინო ცნობა/დასკვნა ამ სხვა მატერიალური დოკუმენტები, განახორციელოს კონსულტაცია კომპეტენტურ პირებთან (კანონიერ წარმომადგენელთან, სპეციალიეტებთან და სხვ), განახორციელოს ისგ/ისპ-ის მოსარგებლე პირის პიროვნული ფაქტორების შეფასება, საყოველთაოდ მიღებული სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით. კონსულტაცია და ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი ხორციელდება ისგ/ისპ შემუშავებისა და განხორციელების ყველა ეტაპზე. სამუშაო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს, რომ ისპ/ისგ-ის მოსარგებლე პირი/კანონიერი წარმომადგენელი ჩართული იყოს ინფორმაციის შეგროვებისა და კონსულტაციის პროცესებში. მიმართულების/სტრატეგიის განსაზღვრა გულისხმობს სად და რა ფორმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელდება ისგ/ისპ და მოიცავს: სწავლების/შეფასების მეთოდებისა და აქტივოებების რელევანტურობის განსაზღვრას გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე; მატერიალური და სასწავლო რესურსის განსაზღვრას; სასწავლო განრიგისა და კვირეული დატვირთვის განსაზღვრას;

შემუშავებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა/პროგრამა შეთანხმებას გადის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერთან, რის შემდეგ ამტკიცებს აკადემიის რექტორი. დამტკიცებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის/პროგრამის საფუძველზე, პერსონალთან შეთანხმებით და შემუსული ინფორმაციის გათალისწინებით, დგება შემუშავებული პროგრამის განხორციელების კალენდარი და პროგრამის განხორციელებაზე კონტროლის/მონიტორინგის განრიგი, განხორციელების კონტროლს ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხოლო პროცესზე მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ისგ/ის-ის განხორციელების პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია გადახედვა. დაგეგმილი პროცესის განხორციელების, მიღწეული შედგების მონიტორინგი და ანალიზი. საჭიროებიდან გამომდინარე ხოციელდება მასში ცვლილება/ცვლილებები ოპტიმიზაციის მიზნით, რაც ასევე ექვემდებარება ინგ/ისპ-ით მოსარგებლე პირ(ებ)თან, მათ კანონიერ წამომადგენელთან და აკადემიის ხარისხის უზრუნველყპოფის /მენეჯერთან შეთანხმებას. განხორციელებული ცვლილებები უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებისა და აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების მიღწევას. შეთანხმებული ცვლილებებს ამტკიცებს რექტორი.

დაწესებულებაში ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროება არ დამდგარა.

<u>**პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**</u>

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

აკადემიის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით, საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპეტენციების შედეგის მიღწევა იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე, პრაქტიკის ხელშეკრულებაში დეტალურადაა აღწერილი ხელშეკრულების პირობები, გასახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი, სწავლის შედეგის მისაღწევი ტექნიკური აღჭურვილობა, პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა და საექთნო განათლების პროგრამის სპეციფიკით მოთხოვნილი გარემოებები როგორიცაა, კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი პროფესიული სტუდენტების სწავლებაზე პასუხისმგებელი პირის, ექთნის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის - მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, უფლება-მოვალეობებს, პრაქტიკის ობიექტისა და აკადემიის წინაშე ანგარიშგებას/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას, პროფესიული სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის საკითხის უფლებამოსილებას, პროფესიული სტუდენტის წახალისებისა და პრობლემური ან/და სხვა საკითხის(რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და სწავლის შედეგების მიღწევას) განხილვის საკითხის დასმის უფლებამოსილებას. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობას - 1/7; ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა.

დაწესებულებას კლინიკური ნაწილის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ კლინიკებთან:

1. შპს უნივერსი- კლინიკაში განხორციელდება მოდულები: კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა. დასწესებულებას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 28 პროფესიული სტუდენტი;

2. ქ.თბილისის ცენტრალური საავადმყოფო- კლინიკაში განხორციელდება მოდულები: კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა ; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა. დასწესებულებას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 28 პროფესიული სტუდენტი;

3. საქართველოს კარიტასი - კლინიკაში განხორციელდება მოდულები: შინმოვლა. დასწესებულებას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 28 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. შპს აკადემიკოს გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი- კლინიკაში განხორციელდება მოდულები: ავადმყოფის მოვლა; კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა. დასწესებულებას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 28 პროფესიული სტუდენტი;

5. ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო- კლინიკაში განხორციელდება მოდულები: კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები. დასწესებულებას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 28 პროფესიული სტუდენტი;

6. შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი- კლინიკაში განხორციელდება მოდულები: კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია ; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია. დასწესებულებას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 28 პროფესიული სტუდენტი;

თითოეული კლინიკის მიერ კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური მოდულის განსახორციელებლად გამოყოფილია 4 ინსტრუქტორი/განმახორციელებელი პირი, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ კლინიკას/ბაზას ერთდროულად მიიღოს 28 პროფესიული სტუდენტი;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს პერიოდულად, ატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟების უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯის ბაზაზე ტარდება მხოლოდ „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტი, რომელსაც არ სჭირდება განსაკუთრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვა, რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს განხორციელდება კლინიკებში, რომლებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას იღებს პრაქტიკის ობიექტები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მექანიზმები (დამტ. ბრძ.N2/48; 8.06.2018წ), "შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესი" (დამტ. ბრძ.N2/48; 8.06.2018წ), „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი" (დამტ. ბრძ.N2/48; 8.06.2018წ).

კოლეჯში უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკ.ბრძ. N2/22; 23.03.2020);
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტ. ბრძ.N2/48; 8.06.2018წ);
- "შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესი" (დამტ. ბრძ.N2/48; 8.06.2018წ);
- „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი" (დამტ. ბრძ.N2/48; 8.06.2018წ);
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების “ პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესით“ (დამტკ. ბრძ. N2/22; 23.03.2020წ; ცვლ. ბრძ.N2/39; 11.06.2020წ) რეგულირდება შეფასების ინსტრუმენტის მომზადებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება, დოკუმენტის მოიცავს შეფასების ინსტრუქციას, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/ შემუშავების/ განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს, შეფასების პროცესის ადმინისტრირებას/მართვას, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების მოპოვება, აღრიცხვასა და შენახვის წესს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობასა და სამართლიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების გაცნობის აღრიცხვის ჟურნალის წარმოებას, სადაც პროფესიული სტუდენტები ხელმოწერით ადასტურებენ შედეგების გაცნობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის“ (დამტკ. ბრძ. N2/22; 23.03.2020წ; ცვლ. ბრძ.N2/39; 11.06.2020წ), მუხლი 13-ით, რეგულირდება შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, მასზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროცესში შესაძლებელია ჩართულნი იყვნენ დარგის სპეციალისტებიც, პროცესი უნდა გამორიცხავეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. პროცესები ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ არის ორგანიზებული. წინასწარ ფასდება თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს მიმდინარე წელს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი. რისკების ანალიზის საფუძველზე ხორცილდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს , როგორც პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს, ანგარიშს ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილეპირ(ებ)ი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის ანგარიშს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს რექტორს; ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში, განხილვაში მონაწილეობა შეუძლია ყველა პირს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები და სხვა.

დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. თუ საჭიროა რეგულაციებშიც განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. ეს შესაძლოა გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, თუ ფართო მასშტაბის საკითხს ეხება. თუ ინდივიდუალურ მასწავლებელს/მოდულს ეხება, შესაძლოა ცალკე გაიწეროს. დაწესებულებამ უნდა მოახდინოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჩატარება.

დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა ვერიფიკაციის განხორციელების დოკუმენტი და ანალიზი.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის“ (დამტკ. ბრძ. N2/22; 23.03.2020წ; ცვლ. ბრძ.N2/39; 11.06.2020წ) მუხლი 7-ის მიხედვით, აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, შეფასების უწყისები უვადოდ ინახება. თუმცა შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიხება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა.

მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მტკიცებულებების აღრიცხვის მიზანია მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის“ (დამტკ. ბრძ. N2/22; 23.03.2020წ; ცვლ. ბრძ.N2/39; 11.06.2020წ) მუხლი 7-ის მიხედვით დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული პროფესიულ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვვება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია უნდა იქნას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი“ (დამტკ. ბრძ. N2/22; 23.03.2020წ; ცვლ. ბრძ.N2/39; 11.06.2020წ)
- კითხვარები
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითიმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17.07.2020 წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: